

# შინაარსი

შესავალი..... 3

## თავი 1. შემთხვევის ადგილისა და გვამის დათვალიერება

- § 1.1. შემთხვევის ადგილისა და გვამის დათვალიერება.....6
- § 1.2. შემთხვევის ადგილის ფოტოგრაფირება..... 21
- § 1.3. დამნაშავის მიერ დატოვებული კვლები შემთხვევის ადგილზე. კვალთა ცნება სასამართლო მეცნიერებებში..... 22
- § 1.4. ხელისა და ფეხის კვლები შემთხვევის ადგილზე.....28
- § 1.5. კრიმინალისტიკური მიკროლოგია. მიკროკვლები, მიკრონაწილაკები და დნმ (ბიოლოგიური კვალი) შემთხვევის ადგილზე.....37
- § 1.6. სასამართლო ოდოროლოგია..... 48

## თავი 2. ოპერატიულ-სამძებრო ვერსიები მკვლელობათა გამოძიების პროცესში

- § 2.1. არსი, პრაქტიკული მნიშვნელობა, განმასხვავებელი ნიშნები, სტრუქტურა..... 52
- § 2.2. შემთხვევის ადგილისა და ვითარების ოპერატიულ-სამძებრო დახასიათება ძალადობის ნიშნებით გვამის აღმოჩენისას ..... 60
- § 2.3. ტიპური სიტუაციები და ოპერატიულ-სამძებრო ვერსიები..... 65
- § 2.4. ოპერატიულ-სამძებრო ვერსიების გამოყოფა და გადამოწმება შემთხვევის ადგილისა და გვამის დათვალიერებისას..... 71

## თავი 3. სამედიცინო-კრიმინალისტიკური საკითხები

- § 3.1. სიკვდილის ფაქტი და შემდგომი გვამური ცვლილებები..... 77
- § 3.2. სიკვდილის ძირითადი მიზეზები მექანიკური დაზიანების დროს..... 91
- § 3.3. მჭრელი (ბასრი, მახვილი) იარაღებით განვითარებული დაზიანებები..... 99
- § 3.4. მექანიკური დაზიანებების კლასიფიკაცია მორფოლოგიური სურათის მიხედვით..... 102

§ 3.5. მჭრელი (ბასრი) იარაღებით განვითარებულ თვითდაზიანებათა და მეორე პირის მიერ მიყენებული დაზიანებების დიფერენცირება. განვითარების მექანიზმი. კვლევის მეთოდები.....	109
§ 3.6. მექანიკური ასფიქსია.....	119
§ 3.7. ცენტზლნასროლი დაზიანებები.....	131
§ 3.8. სატრანსპორტო ტრავმა.....	157
§ 3.9. ქიმიური ფაქტორების მოქმედებით გამოწვეული დაზიანებები და სიკვდილი.....	163
§ 3.10. ტექნიკური და ატმოსფერული ელექტრობით გამოწვეული დაზიანებები და სიკვდილი.....	168


# თავი I.

## შემთხვევის ადგილისა და გვამის დათვალიერება


### § 1.1. შემთხვევის ადგილისა და გვამის დათვალიერება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება პირველადი და გადაუდებელი საგამომძიებო მოქმედებაა, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 127-ე მუხლის თანახმად, ტარდება იქ, სადაც მოხდა დანაშაული ან აღმოჩენილია მისი კვალი. დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან უმოკლეს დროში გამომძიებლის ზეპირსიტყვიერი გადაწყვეტილებით ხდება შემთხვევის ადგილზე გასვლა და დათვალიერების დაწყება. აღნიშნული საგამომძიებო მოქმედება ტარდება მატერიალურ მტკიცებულებათა და სხვადასხვა კვალთა ამოღებისა და კვლევის მიზნით. შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში, გამომძიებლის ხელმძღვანელობით, მონაწილეობენ ექსპერტ-კრიმინალისტი და ფოტოგრაფი. უპირველეს ყოვლისა, გამომძიებელმა უნდა იზრუნოს შემთხვევის ადგილის შემოფარგვლასა და დაცვაზე. შემთხვევის ადგილის არეალის (რადიუსის) განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: შემთხვევის ადგილის ცენტრიდან, რომლადაც ითვლება გვამი, იზომება მანძილი ყველაზე შორს მდებარე ნივთმტკიცებამდე და მას ემატება ამ მანძილის ნახევარი. თუ გვამი აღმოჩენილია ბინაში, შემთხვევის ადგილად აღიქმება მთლიანად ბინა. შემთხვევის ადგილის დათვალიერება იყოფა ორ ნაწილად: სტატიკურად და დინამიკურად. სტატიკური დათვალიერება გულისხმობს მკვლელობის ადგილის დათვალიერებას მისი ყოველგვარი ცვლილების გარეშე, რასაც წინ უსწრებს გამომ-


ძიებლის ხანმოკლე ადაპტაცია. შემთხვევის ადგილის დინამიკური დათვალიერება გულისხმობს მკვლევლობის ფაქტთან დაკავშირებულ კვალთა, ნივთმტკიცებათა დაწვრილებით დათვალიერებას, ტვიფრების დამზადებას და დათვალიერების შედეგების დაწვრილებით აღწერას ოქმში. შემთხვევის ადგილზე ყველა ნივთი და კვალი, გარდა მათი ზომებისა აღინიშნება მათი მდებარეობის კოორდინატების მიხედვით, რაც შემდგომში შემთხვევის ადგილის სურათის აღდგენის საშუალებას იძლევა. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას გამოძიებლის მიერ შერჩეულ უნდა იქნას შემთხვევის ადგილზე გადაადგილების შესაბამისი მარშრუტი, რომელიც შეიძლება იყოს: ფრონტალური (სწორხაზოვანი), სპირალური, ურთიერთგადამკვეთი ან კვადრატული. დათვალიერების მეთოდი აირჩევა იმის მიხედვით, თუ რომლის მეშვეობით არ მოხდება კვალთა, ან კვალზე მიმანიშნებელ მტკიცებულებათა დაზიანება.



**ფრონტალური**



**სპირალური**



**ურთიერთგადამკვეთი**



**კვადრატული**

შემთხვევის ადგილის დათვალიერება იწყება გვამიდან. გვამის დათვალიერებისას უნდა დადგინდეს და ოქმში იქნეს შეტანილი შემდეგი საკითხები: გვამის პოზა, კიდურების მდებარეობა, გვამზე, მის ირგვლივ და ქვეშ არსებული კვლები, იმ ზედაპირის მდგომარეობა, რომელზეც ასვენია გვამი. გვამზე ტანსაცმლის მდგომარეობა (დაზიანებები, დაბინძურებები), შესაკრავების, თასმებისა და ღილების მდგომარეობა და მათი მთლიანობა, არის თუ არა ტანსაცმელი მორგებული, შეესაბამება თუ არა სიგრძეში და ზომებში, გახსნილია ტანსაცმელი თუ შეკრული, ქვედა საცვლები აწეულია თუ ჩაწეული, რა და როგორი თანმიმდევრობით აცვია, უკულმა ხომ არ აცვია ტანსაცმლის რომელიმე ნაწილი. დათვალიერებისას გვამს ტანსაცმელს არ ხდიან, მხოლოდ გახსნიან და აწევენ. თავდაპირველად, ხდება მთლიანად ტანსაცმლის მდგომარეობის დაფიქსირება (მაგ.: ტანსაცმელი სველია, ძლიერ სისხლიანი და ა.შ.), შემდეგ, როგორი თანმიმდევრობით აცვია. ტანსაცმელი უნდა აღიწეროს შემდეგი რიგით: ზედა, ქვედა, მარჯვენა, მარცხენა, წინა და უკანა მიმართულებით, ზემოდან ქვემოთ, გარედან შიგნით. თითოეული ტანსაცმლის აღწერა იწყება მისი დასახელებით, მიუთითებენ ფერს, ქსოვილის სტრუქტურას, სხეულზე მის მდგომარეობას.

გვამის აღწერისას მივუთითებთ სქესს, დაახლოებით ასაკს, ტანის აგებულებას, კანის ფერს. ყურადღება უნდა მიექცეს ნაადრევ გვამურ მოვლენებს, მათი გამოკვლევის დროის მითითებით. მოგვიანებითი გვამური ცვლილებების (ლპობა, მუმიფიკაცია და სხვა) არსებობისას, აღიწერება მათი გამოხატულების ხარისხი და ანატომიური ლოკალიზაცია. აღიწერება გვამზე დაზიანების არსებობა, ანატომიური ლოკალიზაცია, ფო-